

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს
ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“
ომარ გოგიჩაიშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 23 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ სხდომა.

დანართი: ოქმი N 1-5(ხუთი) ფურცელი

პატივისცემით,

ომარ გოგიჩაიშვილი



ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“
სხდომის ოქმი №2

ქ.ლანჩხუთი

23.06.2017 წელი

10:00

საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი.

ფრაქციის წევრები: ნიკოლოზ იმნაძე, ადამი ხუბუნაიშვილი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ომარ გოგიჩაიშვილმა

სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ომარ გოგიჩაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ომარ გოგიჩაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ომარ გოგიჩაიშვილი/

4. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ომარ გოგიჩაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 3 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ომარ გოგიჩაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის "ვ" პუნქტის მოთხოვნის თანახმად მუნიციპალიტეტის გამგეობაში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასის წლიური ფონდი არ უნდა აღემატებოდეს /შტატით , შტატგარეშეს ჩათვლით / 1155597 ლარს. სიტყვიერი ინფორმაციით სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ საჯარო მოხელეთა რანგირების პროექტით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოების ოდენობით გათვალისწინებული ხელფასის წლიური ფონდი აღემატება "საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის 23-ე მუხლის "ვ" პუნქტის მოთხოვნებს.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ომარ გოგიჩაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 3 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი- „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ომარ გოგიჩაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების თანახმად, საჯარო დაწესებულებებში მიმდინარეობს შტატების გარდაქმნა, რაც იმას ნიშნავს ,რომ საკრებულოს აპარატში დასაქმებული პირები გახდებიან ან პროფესიული საჯარო მოხელეები ან შტატგარეშე მოსამსახურეები. უნდა მოხდეს აპარატში დასაქმებული შტატისანი და შტატგარეშე თანამშრომლების გადალაგება მოხელეებად და შრომითი ხელშეკრულებით (შტატგარეშეებად) დასაქმებულებად. მან აღნიშნა, რომ ახალი რანგირების სისტემაზე მორგების მიზნით, წარმოდგენილ საშტატო ნუსხის მიხედვით საკრებულოს აპარატში სულ შტატით იქნება 17 თანამდებობა, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით 5 თანამშრომელი (მდივანი, მძღოლი, კომპიუტერული მომსახურების დარგში სპეციალისტი, დამლაგებელი). აქვე აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციით ტექნიკური პერსონალი, ესე იგი მხოლოდ ტექნიკური

ფუნქციების განმახორციელებელი თანამდებობები უნდა გადავიდნენ შრომითი ხელშეკრულებით. მან აღნიშნა რომ ცვლილება განპირობებულია „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც საჯარო დაწესებულებებს დაევალებათ 2017 წლის 1 ივლისამდე შტატების დასახელებებში ცვლილება და მათი იერარქიულ რანგებში განაწილება.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ომარ გოგიჩაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 3 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი-„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“-სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ომარ გოგიჩაიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ყველა იმ საკითხის ირგვლივ, რაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტში იყო ასახული.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ომარ გოგიჩაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 3 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

4.სხვადასხვა:

ფრაქციის თავმჯდომარემ, ომარ გოგიჩაიშვილმა გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ გზის მონაკვეთი, რომელიც მდებარეობს ჯუნეწერში ყოფილ სკოლასა და ასფალტირებულ გზას შორის, იყო მოხრეშილი, მაგრამ სტიქიამ დააზიანა და გზის სავალი ნაწილი ორად არის გაყოფილი, რის შედეგადაც გამწვანებულია ტრანსპორტის გადაადგილება. მოსახლეობა ითხოვს დახმარებას.

დეპუტატმა ნიკო იმნაძემ აღნიშნა, რომ სტიქიამ დააზიანა სოფლის გზები და საყანე ფართობებში არსებული სანიაღვრე არხები, რის შედეგადაც დაიბორა დათესილი ტერიტორიები. საჭიროა არხების გაწმენდა და ყანების ხელახლა დათესვა, რაც დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან.

დეპუტატმა ადამ ხუხუნიანი გულისტკივილით აღნიშნა, რომ ლაშისდელში, რკინიგზის გადასასვლელთან, დეპოს მიმდებარე ტერიტორიაზე უხარისხოდ არის გაკეთებული გზის საფარი, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს.

აღნიშნული გზის მონაკვეთი საჭიროებს ხელახლა მოწესრიგებას.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“



თავმჯდომარე :



ომარ გოგიჩაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23 ივნისი, 2017 წელი
10:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ომარ გოგიჩაიშვილი	930	
2	ნიკოლოზ იმნაძე	950	
3	ადამი ხუბუნაიშვილი	950	